



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კილაძე ნოდარ შალვას ძე



ნ. კილაძე

კილაძე ნოდარ შალვას ძე (28. III.1925, თბილისი, – 12. VIII. 2010, იქვე), ფიზიკოსი, გამოთვლითი ტექნ. და ინფორმატიკის სპეციალისტი. ტექ. მეცნ. კანდიდატი (1977). საქართვე. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1985). 1954- მდე იყო სამხედრო სამსახურში. დაამთავრა თსუ-ის ფიზ. ფაკ-ტი (1959). 1960-2010 მუშაობდა საქართვე. მეცნ. აკად. ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინ-ტში (2010-იდან – სტუ-ის ა. ელიაშვილის სახ. მართვის სისტემების ინსტიტუტი). იყო ამ ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (1978). 1963-იდან ელექტრონულ მონყობილობათა განყოფილების გამგე. პარალელურად (1968-72) მუშაობდა აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში.

კ-ის სამეცნ. კვლევის სფეროა ინფორმაციის გარდამსახი სისტემების დამუშავება და შექმნა, კომპიუტერში შეყვანილი ქართ. ტექსტების ხმოვან ფორმატში პროგრამული გადაყვანა, საფრენი აპარატების ფრენისას შექმნილი ავარიული სიტუაციების პროგრამული ანალიზი და ვიზუალიზაცია.

კ. იყო მეორე მსოფლიო ომის (1939-45) მონაწილე, მიღებული აქვს სამთავრობო ჯილდოები.

თბზ.: Програма синхронного озвучивания введённых с клавиатуры компьютера или текстовыми файлами грузинских текстов (თანაავტ. Ф. Коган, Д. Радзиевский), სტუ, ა. ელიაშვილის სახ. მართვის სისტემების ინ-ტის შრომათა კრ., თბ., 2005; Метод

формирования гладкой кривой по её отдельным точкам (თბილისი. Ф. Коган, Л. Гелиашвили), 1983, 2007.
